

**არქიტექტორ - ტექნიკოსის მოსამზადებელი
პროფესიული პროგრამა**

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: არქიტექტორ-ტექნიკოსის (გრაფიკოსი) მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა.

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არქიტექტორ-ტექნიკოსის (გრაფიკოსი) მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია.

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი.

აქედან: 36 კრედიტი (900საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი -792; დამოუკიდებელი - 108)

24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 528; დამოუკიდებელი -72)

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე სასწავლებლად დაშვების მინიმალური პირობაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო განათლება ან/და მესამე საფეხურის არქიტექტურული დეტალების მძერწავ-მემოდელის კვალიფიკაცია.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის არქიტექტურული გრაფიკის ოპერატორი, რომელსაც შეუძლია: შენობის არქიტექტურული აზომვა, არქიტექტურული საპროექტო ნახაზის ტექნიკური შესრულება - ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით;

VII. სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	იცნობს საპროექტო და სამშენებლო საქმის ზოგად საფუძვლებს,ორიენტირებულს საპროექტო პრაქტიკულ საქმიანობაზე; იცის შენობის ნაწილები და არქიტექტურული საპროექტო ნახაზის ტექნიკური შესრულება; გაცნობიერებული აქვს მშენებლობის მენეჯმენტის საფუძვლები, ასევე შრომის უსაფრთხოებასთან და არქიტექტურულ საპროექტო საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ზოგადი საკითხები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემდეგი სამუშაოების პრაქტიკულად შესრულება: საპროექტო ტერიტორიის ან სარეკონსტრუქციო შენობის არქიტექტურული აზომვა: ესკიზიდან სათანადო ნახაზების შესრულება, ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით; ქალაქგეგმარებითი პროექტის წაკითხვა,წინასაპროექტო კვლევის ჩატარება და მასალის კომპიუტერული დამუშავება; გუნდური მუშაობა; ავტონომიურად მუშაობა და პასუხისმგებლობა ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე.
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია ლოგიკური აზროვნება; სპეციალობასთან დაკავშირებული პრობლემის/ამოცანის გაცნობიერება, და პროფესიულ კონტექსტში მისი გადაჭრის საშუალების გააზრება; კონკრეტული ტექნიკური პრობლემის ანალიზი; პროფესიული ლიტერატურიდან და სხვა წყაროებიდან შესაბამისი ტექნიკური ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტირება.
კომუნიკაციის უნარი	აქვს უნარი აწარმოოს ეფექტური კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე (წერილობითი, ვერბალური და ნახაზების საშუალებით); შეუძლია უცხო ენაზე სპეციალობასთან/პროფესიასთან დაკავშირებული მარტივი ტექსტების, განმარტებების გაგება, კოლეგებთან ურთიერთობა, პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა; ფლობს დროის ეფექტურად მართვის უნარს; შეუძლიათ კომუნიკაცია თავიანთ ცოდნასთან, უნარებთან და საქმიანობასთან დაკავშირებით კოლეგებთან,ხელმძღვანელებთან და მომხმარებლებთან თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით.

სწავლის უნარი	აქვს უნარი საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრისა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.
ღირებულებები	აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებები: შეუძლია სათანადო არქიტექტურული ნახაზების შესრულება, ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით, იცნობს უსაფრთხოების წესებს; აქვს პასუხისმგებლობა შესასრულებელი სამუშაოებისადმი და პასუხისმგებლობა ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

VIII. სწავლის შედეგების რუქა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინგლისური	X	X		X	X	X
არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები I	X	X	X	X	X	X
კომპიუტერული გრაფიკა I	X	X	X	X	X	X
მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები	X	X	X			X
უსაფრთხოება	X	X			X	
მეწარმეობა	X	X		X		X
არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები II	X	X	X	X	X	X
კომპიუტერული გრაფიკა II	X	X	X	X	X	X

IX. სასწავლო გეგმა

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა	
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები		
		ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა			შუალედური/დასკვნითი შეფასება
ინგლისური	10		212				8	30	250
კომპიუტერული გრაფიკა I	10	45	63		44	60	8	30	250
არქიტექტურული ინფორმატიკა და კომპიუტერული დაგეგმარება I	5	20	30		22	30	8	15	125
მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები	5	20	30		22	30	8	15	125
შრომის უსაფრთხოება	5	30	20		22	30	8	15	125
მეწარმეობა	5	20	30		22	30	8	15	125
არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები II	15	60	98		74	90	8	45	375
კომპიუტერული გრაფიკა II	5	20	30		22	30	8	15	125
სულ	60	215	513		228	300	64	180	1500

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო, საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- პორტფოლიო;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება.

XII. სწავლების მეთოდები:

თეორიული სწავლება;

პრაქტიკული მეცადინეობა;

ლაბორატორიული სამუშაო;

სასწავლო პრაქტიკა;

საწარმოო პრაქტიკა.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები	ლალი გერსამია	არქიტექტორი
კომპიუტერული გრაფიკა	გოჩა ჩავლეშვილი	ასისტ. პროფესორი
მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები	ნანა დონდოლაძე	ინჟინერ-მშენებელი
მეწარმეობა	ნინო დონდოლაძე	დოქტორი
ინგლისური	ნინო მიქელაძე	მასწავლებელი
შრომის უსაფრთხოება	მადონა ლორია	ასისტენტ პროფესორი

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღი, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პრეზენტაციები და ვიდეოფილმები); (საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობა; მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის ქ. № 12).

XIV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა განხორციელდება სწავლების პროცესში ქვემოთ ჩამოთვლილი კომპანიების სამშენებლო ობიექტებზე:

- ქ. ბათუმი. შ.პ.ს. „ორბი-ანაგი“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ქ. ბათუმი. შ.პ.ს. „სითი-პარკი“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ქ. ბათუმი. შ.პ.ს. „ანაგი“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ქ. ბათუმი. შ.პ.ს. „მონოლითი-2005“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ქ. ბათუმი. შ.პ.ს. „გუმბათი-1“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ქ. ბათუმი. ქ. ბათუმის მერია, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.
- ქ.ბათუმი, შპს „ანტიკ-ლაინი“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;

XV. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

IV საფეხურის არქიტექტორ-ტექნიკოსის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ სტუდენტს საშუალება ეძლევა სწავლა გააგრძელოს V საფეხურის არქიტექტორ-ტექნიკოსის სპეციალობაზე.